თბილისი 2022 წლის 14 იანვარი

თსუ რექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის **N243/01-01** და **N244/01-01** ბრძანებების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის და ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს **N107/2021** 2021 წლის 10 დეკემბრის **N21** სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2

<u>**სხდომას ესწრებოდნენ**</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)
მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

<u>**დღის წესრიგი:**</u>

- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, მიხეილ ჯანგავაძის მიერ გაკეთებული მოხსენება;
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ზურაბ ჩხაიძის მიერ გაკეთებული მოხსენება;

<u>**მოისმინეს:**</u>

მედიცინის დოქტორ მიხეილ ჯანგავაძის და მედიცინის დოქტორ ზურაბ ჩხაიძის მინი მოხსენებები, მათი სამეცნიერო საქმიანობის თაობაზე. კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატებმა დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u>

მაია ბიწკინაშვილმა და თეიმურაზ დოჭვირმა. მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ კანდიდატების სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ღირსეულ

კანდიდატებად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>**კენჭისყრის შედეგები:**</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 10 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ასისტენტ-პროფესორის, კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე მედიცინის დოქტორ მიხეილ ჯანგავაძის და მედიცინის დოქტორ ზურაბ ჩხაიძის არჩევას.

<u>**დაადგინეს:**</u>

1. დამტკიცდეს კენჭისყრის შედეგები;
2. მედიცინის დოქტორი მიხეილ ჯანგავაძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ასისტენტ-პროფესორად; მედიცინის დოქტორი ზურაბ ჩხაიძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასოცირებულ პროფესორად.

კომისიის წევრების ხელმოწერა

_____

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

_____

მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე

_____

ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

_____

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

_____

მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)